ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2779087

ნომერი: AR1429606

თარიღი : 08.08.2016

გაცემის თარიღი : 15.08.2016

გაცნობის თარიღი : 15.08.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ნაბაღრები" ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად მოდებაძე პ/ნ 54001013523
- თბილისი ს. დიღომი ჩარგალეთის ქ. N 5

ორგანიზაცია:
- შპს პროექტი+ კოდი: 404953181

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: დღეისათვის მოქმედი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით გათვალისწინებულია ტერიტორიების ძირითადი და სპეციალური ზონალური შეთანხმებით დასაშვები გამოყენების სახეობები. ამავე წესების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველა ქვეზონისათვის, გარდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებით დასაშვებ სახეობას წარმოადგენს ზონის ან/და ამ ზონაში დასაშვები შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხაზობრივი ნაგებობები ან/და დამხმარე ან/და დროებითი შენობა-ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,ჯეოსელი"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის და სექტორული ანტენების (3 ერთეული) განთავსება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამავე წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ნებართვის მაძიებელმა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე შესაბამისი, დასაბუთებული მოთხოვნა უნდა დააფიქსიროს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებაზე განცხადებაში ან საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ განცხადებაში. ვინაიდან, პირველი კლასის მშენებლობაზე სამსახურის მიერ გაიცემა არა მშენებლობის ნებართვა, არამედ წერილობითი დასტური და წერილობითი დასტურის გაცემის ფარგლებში არ ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ან არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წინამდებარე განაცხადის ფარგლებში იმსჯელოს პირველი კლასის, სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღების საჭიროების მქონე შპს ,,ჯეოსელი"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის და სექტორული ანტენების (3 ერთეული) განთავსების თაობაზე ან გადააგზავნოს საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე განსახილველად.

შესაძლებელია განაცხადი ატვირთოთ „ქალაქგეგმარებით დასკვნაზე“ შესაბამისი დასაბუთებით და მოითხოვოთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.